www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 4 აგვისტო, 2012 წელი. | №3082 (175) | ფასი 50 თეთრი

საგარეო ვალის ახალი სტატისტიკა

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა კლება დაიწყო

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა კლება დაიწყო. 2012 წლის ივნისის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში საგარეო ვალი, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ პირველად, 0,4 პროცენტით შემცირდა, ერთი წლის წინათ ზრდა 20,7 პროცენტი იყო.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2012 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალი 4 163 829 000 აშშ დოლარია, 2011 წლის 30 ივნისს - 4 182 277 000 აშშ დოლარს შეადგენდა. 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კი, სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 3 464 795 000 აშშ დოლარი იყო, 2012 წლის 31 მაისის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი - 4 174 439 000 აშშ დოლარს შეადგენდა.

მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალიდან 3 633 728 000 აშშ დოლარი მთავრობის საგარეო ვალია, 486,583 მლნ აშშ დოლარი კი - საქართველოს ეროვნული ბანკის. ეროვნული ბანკის მთლიანი ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდზე (სსფ) მოდის.

სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე სარეიტინგო საგენტოების "Standard & Poor's"-ის, "Fitch"-ის და "Moody's"-ის მიერ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად. აგრეთვე, ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, ძირითადად, შეღავათიანია.

სირიაში მშვიდობის მიღწევის იმედი გაქრა

ხათუნა გაბიევი

კოფი ანანის მისია წარუმატებლად დამთავრდა

სირიისთვის ახალ საგანგებო დესპანს ეძებენ - კოფი ანანმა მისია შეწყვიტა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბული ლიგის სპეცწარმომადგენელმა მანდატის გაგრძელებაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში არსებული განხეთქილების ფონზე სირიის კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებისთვის მხარდაჭერა ვერ მიიღო (ამის შესახებ გუშინ უკვე წერდა "24 საათი").

გაგრძელება მე-4 გვერდზე

"გაიღიმეთ" ვენეციაში

რუსუდან ჭყონიას ფილმი ვენეციის კინოფესტივალის პარალელურ პროგრამაში მოხვდა

ია ვეკუა

დაახლოებით ერთი კვირის წინ ცნობილი გახდა ვენეციის 69-ე საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამა. მართალია, ქართული კინოპროდუქცია არც მთავარ საკონკურსო პროგრამაში მოხვდა და არც სპეციალური ჩვენების სექციაში, 30 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით დაგეგმილი ფესტივალის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება მაინც გვექნება, რადგან მის პარალელურ პროგრამაში Venice Days რუსუდან ჭყონიას სადებიუტო მხატვრული ფილმი "გაიღიმეთ" მოხვდა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ოქროს ბიჭუნა

ქახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ლაშა შავდათუაშვილი 20 წლის ყმაწვილია და ოლიმპიური თამაშები მოიგო. ამან დიდი რეზონანსი გამოიწვია ძიუდოს სპეციალისტებსა და ჟურნალისტებს შორის. ლაშათი დღემდე ინტერესდებიან ჩვენი უცხოელი კოლეგები და ვერ ხვდებიან, აქამდე რატომ არ იცოდნენ მის შესახებ. შავდათუაშვილი ოლიმპიური თამაშების უმთავრესი სიურპრიზი და ნამდვილი აღმოჩენა გახდა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი

1 აშშ დოლარი	1.6522
1 ევრო	2.0281
1 ინგლისური გირვანქა	2.5690
1 თურქული ლირა	0.9185
100 რუსული რუბლი	5.0905
თბილისი	34°C - 22°C
ქუთაისი	36°C - 22°C
თელავი	34°C - 19°C
ზუგდიდი	34°C - 23°C
ბათუმი	29°C - 24°C

ნავთობი	2.92	+0.07	+2.56%
გაზი	2.90	-0.02	-0.76%
ოქრო	1,605.50	+16.90	+1.05%
ხორბალი	895.25	+30.25	+3.38%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კლასიკა

ზურაბ თალაკვაძე

ლონდონმა ერთი საღამოთი მოიწყინა. როჯერ ფედერერმა მოიგო. როჯი ჩოგბურთის ბოსია, ჩოგბურთის ისტორიაში ისტორიას ცვლის. ფედერერის მოგება ჩვეულებრივი, მოსული, სასიამოვნო და ცოტა მოსაწყენი თემაა. ერთი კონკრეტული თამაშით ფედერერს უნდა მოეგო და როჯერმა მოიგო. ერთი კონკრეტული თამაშით იმ, მეორე ბიჭსაც უნდა მოეგო. ხუან მარტინ დელ პოტრომ ფედერერთან ერთად ლონდონში სამი სეტი იჩხუბა და როჯერმა გაძლო. არგენტინელმა ცოტა ვერ გაძლო და დელ პოტრომ მხოლოდ ანგარიშით წააგო. იმ ერთი კონკრეტული თამაშით ფედერერი ოლიმპიადის ფინალში შევიდა და წაგებული არგენტინელიც მოგებული იყო. 3:6, 7:6 (5), 19:17. ფედერერის. როჯერი ლონდონში ბოლო გარჩევისთვის ემზადება.

4 საათი და 26 წუთი, არარეალური ჩოგბურთი, დელ პოტროს აგრესია და ფედერერის ინტელექტი. ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სამსეტიანი ტესტი.

ფედერერი აგებს პირველ სეტს და იმ ცხრა გეიმში დელ პოტრო ფედერერი იყო.

ფედერერი იგებს მეორე სეტს და იმ სეტში როჯერი დელ პოტროზე უკეთესია.

ფედერერი იგებს მესამე, მძიმე სეტს და იმ სეტში დელ პოტრო თითქმის

ფედერერი იყო. როჯერმა ერთი ჯეკპოტი ვერ მოხსნა. მესამე სეტში 10:9-ზე ბოსმა დელ პოტრო დააბრეიქა და შემდეგი გეიმი უმუღამოდ ჩაატარა. დელ პოტრომ დაიბრუნა სტამინა, გეიმი და აგრესია.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მიწას ამოდებული ლონდონი

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

გიგა გურასაშვილის ფოტო

ამინდზე მეტად ლონდონელებს ქალაქის ტრანსპორტზე არსებული დიდი ფასები და ხშირ შემთხვევაში გადაჭედილი სისტემა აწუხებთ. პირველყოვლისა კი წუხან ლონდონის მინისქვეშეთის სატრანსპორტი სისტემაზე. ეს არც ნიუ იორკის "საბვეია" (Subway) და არც მეტროპოლიტენი, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია. ეს ანდერგრაუნდია (Undergraund), სასაუბროდ მიღებული "თიუბი" (Tube), რომელიც მსოფლიოში უძველესია.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

აშშ რუსეთს სამხედრო წვრთნის გაუქმებისკენ მოუწოდებს

აშშ-ს ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე კრის სმიტი რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი სამხედრო წვრთნები; ამერიკის ხელისუფლებას კი ურჩევს, გააძლიეროს ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდაჭერა.

ამ განცხადებას უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი აქვეყნებს.

სმიტის თქმით, რუსეთი წვრთნებს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე იწყებს, ხოლო აფხაზეთი და "სამხრეთ ოსეთი" საერთაშორისოდ აღიარებული ქართული ტერიტორიებია, რომლებიც რუსეთს უკანონოდ აქვს ოკუპირებული.

"ფართომასშტაბური სამხედრო წვრთნების ჩატარება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უხეში ქმედებაა. რუსეთის მთავრობამ უნდა გააუქმოს წვრთნები. ის ეწინააღმდეგება ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც ეუთო-ს ჰელსინკის შეთანხმებითაა დაცული," - ნათქვამია განცხადებაში.

ბაქრაძემ კახეთში "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები წარადგინა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გუშინ კახეთში მმართველი პარტიის მაჟორიტაროის კანდიდატები წარადგინა.

ყვარლის რაიონში კენჭს მარიკა ვერულაშვილი იყრის.

"ძალიან მიხარია, რომ მაქვს პატივი, წარმოვადგენდე ამ რაიონს საკანონმდებლო ორგანოში. მინდა, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ თითოეულმა ყვარლელმა გლეხმა და აქ მცხოვრებელმა ოჯახმა რაც შეიძლება მეტი სიკეთე იგრძნოს იმ პროექტებისგან, რომლებიც დღეს მთავრობის პრიორიტეტია - ეს არის დასაქმება, სოფლის მეურნეობა და ჯანდაცვა," - მიმართა ვერულაშვილმა ყვარლელებს. ახმეტის მაჟორიტარობის კანდიდატად ბაქრაძემ პეტრე ცისკარიშვილი დაასახელა. პარლამენტის თავმჯდომარემ კანდიდატი ერთ-ერთი ადგილობრივის ფერმაში წარადგინა, სადაც საქონლის ჯილეხზე აცრის პროცესი მიმდინარეობდა.

"ჩვენ შეგვეძლო, უმრავლესობის ლიდერი უფრო პომპეზურად წარგვედგინა, მაგრამ პომპეზურობას სამუშაო ვითარება ვარჩიეთ. ჩვენი გეგმა და ამოცანაა, ყველა რაიონში წარვადგინოთ ის ხალხი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს რაიონისთვის, შევა ყველა ქუჩაზე, ყველა ოჯახში შეიტანს მეტ განვითარებასა და მეტ სიკეთეს. ჩვენი ამოცანაა, რომ საქართველოში ყველა ოჯახმა იგრძნოს უკეთესობა," - აღნიშნა ბაქრაძემ. "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი თელავის რაიონში ვასილ დავითაშვილი იქნება. "ეს არის ადამიანი, რომელსაც ყველა ძალიან კარგად იცნობთ, აქაურია, იყო გამგებელიც, დეპუტატად იყო არჩეული და ის ადამიანია, რომელსაც აქაურობა უყვარს. რაც მთავარია, საქმეს გააკეთებს," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ვასილ დავითაშვილის თქმით კი, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში აუცილებლად იბრძოლებს სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფად განვითარებისთვის.

"ბურჯის" ქონებას ახალი მესაკუთრე ჰყავს

"ბურჯის" ქონება, რომელიც იძულებით საჯარო აუქციონზე იყო გატანილი, 8 761 513 55 ლარად გაიყიდა. აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, "ბურჯის" ქონებაზე დაინტერესება დიდი იყო და ინტერნეტ-აუქციონის მეშვეობით, ქონების შესასყიდად, რამდენიმე მომხმარებელი ვაჭრობდა. ვინ გახდა შპს "ბურჯის" ქონების მფლობელი, მას შემდგე გახდება ცნობილი, რაც მყიდველი ფულს გადაიხდის. პროცედურის თანახმად, მას ამისთვის ათდღიანი ვადა აქვს.

შპს "ბურჯი" აუდიტის სამსახურის ოქმის საფუძველზე, კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" შეღავათიანად ავტომობილების მიქირავებისთვის, ასევე, კოალიციის ოფისებით შეღავათიან ფასებში გარემონტებისათვის, 10 მილიონამდე ლარით დაჯარიმდა. კომპანიამ ჯარიმის თანხა არ გადაიხადა, რის შემდეგაც ქონება დაყადაღდა და აუქციონზე გავიდა.

ქონებაში სასაწყობე ფართებთან ერთად, ავტომობილებიც შედიოდა. კომპანია მის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ თანხად გაიყიდა. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, იძულებით საჯარო აუქციონზე განთავსებული ქონების საწყისი ფასი ექსპერტის მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულების 50 პროცენტია. შესაბამისად, შპს "ბურჯის" ქონების საწყისი ფასი - 5 153 831,5 ლარი იყო. შპს "ბურჯის" ქონების საერთო საბაზრო ღირებულება 10 307 663 ლარს შეადგენს.

აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ჯარიმიდან, 3 მილიონამდე ლარი ამოსაღები დარჩა. ამასთან დაკავშირებით, ბიუროში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს დამატებითი ქონების მოძიება აუქციონზე გასატანად.

რაც შეეხება იძულებით აუქციონზე გატანილ, პოლიტიკური პატიებისთვის უკანონო შემოწირულობაში დადანაშაულებული 17 პირის ქონებას. ქონების ნაწილის გაყიდვა გუშინ დასრულდა, ნაწილის კი 6 აგვისტოს დასრულდება. აუქციონზე იყიდება 17 პირის 25 ქონებრივი საკუთრება, რომლებიც სხვადასხვა სახისაა. **"ამ დროისათვის აუქციონზე გატანილია ქონების ის ნაწილი, რაც მოვიძიეთ, ქონების მოძიება კვლავ მიმდინარეობს, ამიტომ გამორიცხული არ არის, აუქციონი კვლავ გამოცხადდეს,"** - განუცხადეს news.ge-ს აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

გუშინ გავრცელდა ლონდონში მყოფი ბიზნესმენის ვანო ჩხარტიშვილის განცხადება, რომლის თანახმადაც, ის პარტიებისთვის შეწირული თანხების გამო დაჯარიმებულებს, რომელთა ქონება დაყადაღდა და აუქციონზეა გატანილი, დახმარებას ჰპირდება.

ჩხარტიშვილი აღსრულების ბიუროს მიერ გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობას აპირებს.

ყოფილი ჟურნალისტი და დიპლომატი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს

კავკასიასა და შუა აზიაში კომპანია "ტოიოტას" აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი გოგა გომიაშვილი გუშინ ტაბიძის N35-ში მდებარე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. მომხდარი გუშინ დილითვე კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა დაადასტურა. გავრცელებული ვერსიით, მან თავი მოიკლა.

გოგა გომიაშვილის ცხედარი ქალაქის პროზექტურაში გადაასვენეს, მის სახლში კი ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

გოგა გომიაშვილის ახლობლების განცხადებით, მათთვის უცნობია, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო თვითმკვლელობის მიზეზი. მათივე ინფორმაციით, გარდაცვლილის მეუღლე და სამი შვილი ამჟამად თბილისში არ იმყოფებიან.

მეზობლების განცხადებით, ისინი გოგა გომიაშვილს არ იცნობდნენ, რადგან სახლში ამჟამად რემონტი მიმდინარეობს და იქ არავინ ცხოვრობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, "ტოიოტა - საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტ გოგა გომიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე, გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით - თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

"თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით" - ასეა განმარტებული სისხლის სამართლის კოდექსში 115-ე მუხლი.

შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის სალომე მახარაძის განმატებით, ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს და მას ექსპერტიზა უტარდება.

გოგა გომიაშვილი გოგა გომიაშვილი 2002-2004 წლებში ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის დილის გადაცემის წამყვანი გახლდათ, 2004-2005 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, როდესაც ამ უწყებას სალომე ზურაბიშვილი ხელმძღვანელობდა. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ გოგა გომიაშვილი ბიზნესსექტორში მუშაობდა.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ილიაუნი საუკეთესოა

ქართულ უნივერსიტეტებს შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი "Webometrics Ranking of World Universities"-ის რეიტინგში საუკეთესოდ დასახელდა. "Webometrics Ranking of World Universities" მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტია, რომელიც წელიწადში ორჯერ, სისტემატურად აწარმოებს მსოფლიო მასშტაბით უნივერსიტეტების საქმიანობის და შედეგიანობის კვლევას და ადგენს მათ რეიტინგებს. Webometrics-ი ესპანეთში ასეთი ტიპის ყველაზე დიდი და ევროპაში სიდიდით მესამე ინსტიტუტია. რას შეეხება მსოფლიო მასშტაბებს, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2538-ე პოზიციაზეა. რეიტინგში სულ 48 ქართული უნივერსიტეტი ფიგურირებს.

საუკეთესოთა შორის არიან:

2. სამედიცინო უნივერსიტეტი - 3043-ე პოზიციით;
3. ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3350-ე;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 4237-ე;
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი - 4845-ე;
6. წმ. ანდრიას სახელობის საქართველოს უნივერსიტეტი - 6380-ე;
7. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) - 6557-ე;
8. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) - 6884-ე;
9. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 6940-ე;
10. კავკასიის უნივერსიტეტი - 7433-ე;
11. საქართველოს უნივერსიტეტი - 7831-ე;

თავისუფალი უნივერსიტეტი ქართულ უნივერსიტეტებს შორის მე-14 ადგილზეა, მსოფლიო რეიტინგში კი - 10 019-ეზე; რეიტინგში სულ მსოფლიოს 20 745 უნივერსიტეტი მოხვდა.

პირველ ათეულში ამერიკული უნივერსიტეტები არიან:

1. ჰარვარდის; 2. მასაჩუსეტის; 3. სტენფორდის; 4. კალიფორნიის; 5. კორნელის; 6. მინესოტას; 7. პენსილვანიის; 8. მედისონის; 9. ილინიოსის და 10. მიჩიგანის.

გამოძიება სოფელ ორულოში მომხდარ ინციდენტზე

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორულუში ორი დღის წინ მომხდარ ინციდენტს პროკურატურა იძიებს. საუბარია "ქართული ოცნების" აქტივისტსა და ზუგდიდის საპატრულო პოლიციის თანამშრომელს შორის მომხდარ კონფლიქტზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორულუში მცხოვრები "ქართული ოცნების" აქტივისტის, ემზარ ცაავას განცხადებით, 2 აგვისტოს, მას, სახლში შეუვარდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ზუგდიდის საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ირაკლი ცაავა, რომელიც მისი ახლო ნათესავია. ცაავას თქმითვე, პოლიციის თანამშრომელი შეიარაღებული იყო, მას ემუქრებოდა და "ქართულ ოცნებასთან" თანამშრომლობის შეწყვეტას მოითხოვდა.

ემზარ ცაავამ მომხდართან დაკავშირებით, სამართალდამცავ ორგანოებს თავად მიმართა.

"მოქალაქე ემზარ ცაავას სახლში ადგილი ჰქონდა შელაპარაკებას და კონფლიქტს ემზარ ცაავასა და მის ბიძაშვილ ირაკლი ცაავას შორის. ემზარ ცაავას ოჯახის წევრებისა და მეზობლების განცხადებით, ინცინდენტს მოჰყვა გარკვეული ნივთების დაზიანება.

აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურაში დაწყებულია გამოძიება, რომლის მიზანია დაადგინოს, იყო თუ არა მომხდარ კონფლიქტში დანაშაულის ნიშნები," - ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "ვვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საგარეო ვალის ახალი სტატისტიკა

პირველი გვერდიდან



უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია, მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს. 2011 წელს საქართველომ წარმატებით გამოუშვა მეორე, ამჯერად 10-წლიანი ევროობლიგაცია, რომლის ფინანსური პარამეტრები, მიმზიდველობის თვალსაზრისით, გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა 2013 წელს ერთჯერადად გადასახდელი ძირითადი თანხა და შესაბამისად კიდევ უფრო ხელსაყრელი გახადა სახელმწიფო ვალის დაფარვის გრაფიკი.

თანამედროვე მსოფლიოში, თითქმის ყველა ქვეყანაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ადგილი აქვს ვალდებულებების აღებას, რომლებიც ორ კატეგორიად იყოფა - საგარეო და საშინაო ვალდებულებებად.

ვალის მოცულობა და მისი ფარდობითი მაჩვენებლების სტანდარტებში მოქცევა ყველა ქვეყნისთვის ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ საკითხის აქტუალობა ევროზონის სავალო კრიზისმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა. რაც შეეხება საქართველოს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და სარეიტინგო სააგენტოების შეფასებით, სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა.

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრად მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ვალის მოცულობის 60-პროცენტიანი დონე მიიჩნევა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგარეო ვალი GDP-ის 29 პროცენტია, ხოლო ქვეყნის მთლიანი ვალი კი 37 პროცენტამდეა, მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია. შეიძლება ითქვას, რომ მშპ-ს მიმარ საქართველოს საგარეო ვალი მსოფლიოში ერთ-ერთი დაბალია. სახელმწიფო ვალის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად შემცირდა 2003 წლიდან. ამას მოჰყვა კოეფიციენტების დროებითი ზრდა 2008-2010 წლებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. საქართველოში ვალის კოეფიციენტების კლების ტენდენცია 2011 წლიდან გაგრძელდა.

სხვა ქვეყნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოში მთავრობის ვალის დონე გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ბევრ სხვა წამყვან ქვეყანაში.

ფინანსთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ სწრაფად მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები, ძალიან დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთი და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკი ძირითადი თანხების დაბალი და ადვილად ხელმისაწვდომი ყოველწლიური გადასახდელებით - ეს არის იმ ძირითადი ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების სტაბილურად დაბალ დონეს და კლებად ტენდენციას. ნებისმიერი ერთი ფისკალური წლის განმავლობაში ვალის მომსახურებაზე მიიმართება საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, რაც საშუალებას იძლევა, საბიუჯეტო ასიგნებები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებსა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე.

შემოსავლების სამსახურის 10-მდე რეფორმა ერთი წლის განმავლობაში

ალტერნატიული აუდიტის პროექტი, უბნის საგადასახადო ოფიცერი, მედიაციის საბჭო, კერძო საგადასახადო ინსპექტორი, ახალი ელექტრონული სერვისები, გაფორმების ეკონომიკური ზონები და ახალი პორტალები, საწარმოო დანაკარგების დადგენა, პირადი საგადასახადო ინსტიტუტი - ეს ის პროექტებია, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა 2011 წელს განახორციელა და ნაწილზე მუშაობა მიმდინარე წელსაც გრძელდება.

შემოსავლების სამსახურში ამბობენ, რომ აღნიშნული რეფორმები ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ქართველი ექსპერტების განცხადებით, ეს ცვლილებები მნიშვნელოვანია, თუმცა საქართველოში ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად საკმარისი არ არის: **"განხორციელებული ცვლილებები შეგვიძლია, ორ ნაწილად დავყოთ. ერთი გახლავთ ტექნიკური ხასიათი, რომლებიც საკმაოდ ბევრი პროცედურის ტექნიკურად გამარტივებას გულისხმობს - იგივე ზედნადებების ელექტრონიზაცია და ა.შ. და მეორე შინაარსობრივი ცვლილებები. მთლიანობაში მათი უმეტესობა ბიზნესისთვის საინტერესო და კარგია, რადგან ხელს უწყობს ბიზნესურთიერთობების გამარტივებას, მაგრამ საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისთვის მხოლოდ ეს რეფორმები საკმარისი არ არის. აქ უფრო მასშტაბური საკითხებია მოსაგვარებელი. მთავარი პრობლემა კონკურენციის დაბალი ხარისხია, რომელიც ქართულ ბაზარს ახასიათებს. ყველა რენტაბელურ სფეროში შეინიშნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხარდაჭერა. სახელმწიფომ თანაბარ პირობებში უნდა ჩააყენოს ყველა კომპანია. ამისთვის კი პოლიტიკური ნება უნდა არსებობდეს... ბიზნესი თავისუფალი უნდა იყოს, არ უნდა ხდებოდეს მკაცრი ადმინისტრირება, ასევე კომუნალური გადასახადების ნაწილი უნდა შემცირდეს, რადგან გადასახადები მაღალია და ბიზნესის ხარჯებს საკმაოდ ზრდის. უნდა იყოს უცხოურ ბაზრებზე წვდომა. მოგეხსენებათ, რომ ევროპული, ამერიკული და რუსული ბაზრები ქართული კომპანიებისთვის ჩაკეტილია. ეს საკითხები ბევრად აღემატება შემოსავლების სამსახურის კომპეტენციას და აუცილებელია იმისთვის რომ საქართველოში უკეთესი ბიზნესგარემო იყოს,"** - ამბობს "ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის" ხელმძღვანელი ირაკლი ლექვინაძე.

მეწარმეების დამოკიდებულებას ბოლო პერიოდში ბიზნესის სფეროში განხორციელებული რეფორმების მიმართ საერთაშორისო საფინანსო კომპანია (IFC) იკვლევდა. "საქართველოს ბიზნესგარემოს კვლევა 2012"-ის ფარგლებში 1064 საწარმოს მფლობელი და მენეჯერი გამოიკითხა. კვლევის შედეგად, გამოკითხულ რესპონდენტთა 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბიზნესგარემო საქართველოში ნაკლებად მიმზიდველია, 7 პროცენტის აზრით - საერთოდ არ არის მიმზიდველი, 53 პროცენტი აღნიშნავს, რომ ბიზნესგარემო ქვეყანაში მეტ-ნაკლებად მიმზიდველია, 2 პროცენტისთვის - ძალიან მიმზიდველია, 20 პროცენტისთვის კი - საკმაოდ მიმზიდველია. **"გასული ორი წლის განმავლობაში მთელ რიგ რეფორმებზე ვიმუშავეთ და ახალი მიდგომები დავნერგეთ. ამან საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. IFC-ის კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის განწყობა საკმაოდ კარგია. გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ გამარტივდა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა, მათ შორის - შემოსავლების სამსახურთან. მაგალითად, საკმაოდ გამარტივებულია სხვადასხვა პროცედურები, იმპორტის, ექსპორტის, ასევე საგადასახადო ადმინისტრირება... შემოსავლების სამსახურის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რამაც ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ხელი შეუწყო, მედიაციის საბჭოს ჩამოყალიბებაა. მას შემდეგ, რაც შემოსავლების სამსახური შეამოწმებს ბიზნესმენს, ბიზნესმენს ბარდება აქტის პროექტი და არა საბოლოო აქტი. მას შეუძლია, აქტის პროექტი მედიაციის საბჭოში გაასაჩივროს და თავისი სიმართლე დაამტკიცოს. მედიაციის საბჭოში განხილვა და გარკვეული დარიცხვების კორექტირება ხდება,"** - აცხადებენ შემოსალების სამსახურში.

საკუთარი ინფორმაცია

გლეხებს პროდუქციის ექსპორტირებაში სახელმწიფო დაეხმარება

პრემიერი-მინისტრი ვანო მერაბიშვილი წყალტუბოში შპს "საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიის" პრეზენტაციას დაესწრო. პრემიერი ადგილობრივებს კომპანიის ფუნქციების შესახებ ესაუბრა და აღნიშნა, რომ გლეხებსა და ფერმერებს მათი პროდუქციის რეალიზაციაში სახელმწიფო დაეხმარება. შპს "საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სახელმწიფო კომპანია" გლეხებს საშუალებას მისცემს, საბაჟო პროცედურები გამარტივებულად გაიარონ. კომპანია პროდუქტის ტრანსპორტირებასა და მის საზღვარგარეთ გატანას უზრუნველყოფს.

მერაბიშვილმა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართული პროდუქციის ექსპორტი აუცილებელია. "ჩვენ ვიქნებით თქვენი ხიდი ევროპასთან, ჩვენ ავაშენებთ ხიდს წყალტუბოდან ევროპაში, წყალტუბოდან უკრაინაში, წყალტუბოდან ბელარუსში, ჩვენ ავაშენებთ ხიდს ადგილობრივი ბაზრიდან ცენტრალურ აზიაში," - განაცხადა მერაბიშვილმა. მისივე თქმით, ადგილობრივები უნდა ჩაერთოთ დიალოგში, გამოთქვან მოსაზრებები, შენიშვნები და ერთად გადაწყდეს მნიშვნელოვანი საკითხები. "მინდა, რომ საქართველოში შეიქმნას ეს ინფრასტრუქტურა და ამან იმუშაოს თუნდაც სანახევროდ ისე, როგორც მუშაობდა პოლიცია. მგონი, არც ერთ თქვენგანს არ აწუხებს კრიმინალის პრობლემა," - დასძინა პრემიერმა.

ემიგრანტების შეთავაზება მთავრობას

არასამთავრობო ორგანიზაციის "ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის" წარმომადგენლები პრეზიდენტს წერილით მიმართავენ და 50 ათას ანტენას საჩუქრად სთავაზობენ. ორგანიზაციის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელ ნანა ელიოტის თქმით, მათი პირობაა, ანტენები ხელისუფლების სახელით მოსახლეობას დაურიგდეს. "ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის" 16 ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებს. 25 ივლისს ბრიუსელში ისინი კოალიციად გაერთიანდნენ. "სწორედ მაშინ შემუშავდა ეს ინიციატივა," - განაცხადა ელიოტმა. მისივე თქმით, ორგანიზაციამ პრეზიდენტისგან ოფიციალური პასუხი 10 დღის ვადაში უნდა მიიღოს.

სატელიტური თეფშების სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე ქართველ ემიგრანტთა ინიციატივაში საპარლამენტო უმრავლესობა "ქართული ოცნების" კვალს ხედავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა განუცხადა და ემიგრნტების წერილს "უტაქტო" უწოდა. მისი თქმით, ასეთი წერილი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ "გლობალ ტვ"-ს უკან პოლიტიკური ძალა იდგა. დარჩიაშვილმა არაფერი იცის ორგანიზაციის "ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის" შესახებ, თუმცა სჯერა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია "ქართულ ოცნებასთან" კოორდინაციაშია და მათი წინადადებაც აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებიდან მოდის.

"მედიის ადვოკატირებისთვის" კომუნიკაციების კომისიას ადანაშაულებს

კოალიცია "მედიის ადვოკატირებისთვის" კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მაუწყებლობის სავალდებულო ტრანზიტ "მასთ ქერის" შესახებ კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე კოალიციის წარმომადგენელმა ლევან დოლიძემ განაცხადა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაარღვია კანონით დაკისრებული ვალდებულება და დადგენილ ვადებში არ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმ მაუწყებლებსა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების შესახებ, რომლებზეც "მასთ ქერის" დებულებები ვრცელდება. მისივე თქმით, კომისიის წარმომადგენლები მედიის საშუალებით ახდენენ კანონის არასწორ ინტერპრეტაციას.

"კომისიის განცხადების თანახმად, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებს შესაბამისი სამაუწყებლო არხების თავიანთ მომსახურების პაკეტში ჩასმის ვალდებულება მხოლოდ მას შემდეგ წარმოექმნებათ, რაც ტელეკომპანიის წერილობით შეტყობინებას მიიღებენ და თავად ტელეკომპანიები უზრუნველყოფენ სიგნალის მიწოდებას. კანონის ამგვარი განმარტება არ შეესაბამება "მასთ ქერის" შესახებ მიღებული საკანონმდებლო აქტის მოთხოვნებს, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს ტელეკომპანიების მიერ წერილობითი შეტყობინების ან სიგნალის მიწოდების ვალდებულებას," - განაცხადა ლევან დოლიძემ.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია უარყოფს ამ ინფორმაციას და აცხადებ, რომ ამ დროისთვის საკაბელო ოპერატორებმა უკვე დაიწყეს სატელიტური მაუწყებლების სიგნალის ტრანზიტი. "მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ცალკეული მაუწყებლების მიერ ვრცელდება საზოგადოების აშკარად შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია," - ნათქვამია კომისიის განცხადებაში. ისინი განმარტავენ, რომ საკაბელო ოპერატორები ვალდებულნი არიან, განათავსონ საკუთარ სამომხმარებლო პაკეტში და მიაწოდონ საკუთარ აბონენტებს საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი კომპანიების სიგნალი.

"ამდენად, იმისთვის, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულდეს, აუცილებელია, საკაბელო ოპერატორებსა და დაინტერესებულ მაუწყებელს შორის შედგეს კომუნიკაცია. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება და, მეორე მხრივ, საკუთარი სამაუწყებლო არხის სიგნალის ტექნიკურად მიტანა საკაბელო ოპერატორების მიერ განსაზღვრულ ჩართვის წერტილამდე, ხოლო საკაბელო ოპერატორმა - ამ მიწოდებული სიგნალის გატარება აბონენტებამდე. ასეთია საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკა და ასეთი განმარტებები იქნა გაცემული არაერთ შეხვედრაზე, რომლებიც შედგა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით," - აღნიშნულია კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის განცხადებაში.

ირანი და ევროკავშირი მოლაპარაკებების განახლებაზე შეთანხმდნენ

ევროკავშირისა და ირანის წარმომადგენლები შეთანხმდნენ მოლაპარაკების მორიგი რაუნდის გამართვაზე თეირანის ბირთვულ პროგრამის შესახებ. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების "ექვსეული", საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის ხელმძღვანელობით, ცდილობს, ირანი დაარწმუნოს, რომ ბირთვული პროგრამის განვითარებაზე მუშაობა შეაჩეროს. თუმცა, ამ საკითხზე უკანასკნელად გამართული მოლაპარაკებებიც უშედეგოდ დასრულდა. "საედ ჯალილთან სატელეფონო საუბრის დროს შევთანხმდით, რომ ამ თვის ბოლოს კიდევ დავილაპარაკებთ," - განაცხადა ეშტონმა.

თეირანი გამუდმებით იმეორებს, რომ ქვეყანა ბირთვული იარაღის შექმნაზე არ მუშაობს და ეს პროგრამა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება. როგორც ზოგიერთი მიმომხილველი აღნიშნავს, შესაძლოა, ირანი ფიქრობს, რომ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეიძლება, უფრო მეტად დამყოლი გახდეს ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებში.

მილიარდერი ლებედევი რუსეთში საქმიანობას წყვეტს

ალექსანდრ ლებედევი - ეროვნული სარეზერვო ბანკის მფლობელი, მედიამაგნატი და ქვეყანაში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი აპირებს, თავისი აქტივები რუსეთში გაყიდოს და "საქმეებს ჩამოშორდეს". ის ხელისუფლების მხრიდან მზარდ ზეწოლას გრძნობს და შიშობს, რომ პოლიტიკური მოტივებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა დაიწყება. მედვედევის თქმით, მთელი ბიზნესის დახურვა და უბრალოდ განზე გადგომა ამ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ის დარწმუნებული არ არის, რომ რუსეთში არსებული საკუთრების გასაყიდად დროს მისცემენ. ბიზნესმენი აცხადებს, რომ ეს ყველაფერი პრეზიდენტის სავარძელში პუტინის დაბრუნების შემდეგ - 2012 წლის მაისიდან დაიწყო. "ვფიქრობ, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქვეყანა პირადი ძალაუფლების მოდელით იმართება," - ამბობს ბანკირი და ვარაუდობს, რომ შეიძლება უახლოეს თვეებში, აგვისტო-სექტემბერშიც კი, მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე "ხულიგნობის" ბრალდებით. საფუძვლად გამოიყენებენ ინციდენტს, რომელიც 2011 წლის სექტემბერში ტელეგადაცემა "ენ-ტე-ვე-შნიკი"-ს ჩაწერის დროს მოხდა. მაშინ ლებედევმა ბიზნესმენ დმიტრი პოლონსკის სახეში გაარტყა.

რუსეთში ალექსანდრ ლებედევი ფლობს აქტივებს სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო ბიზბესში, საბანკო სექტორსა და მედიაში. მას ეკუთვნის ოპოზიციური "ნოვაია გაზეტას" აქციების პაკეტი. მისი ქონება 2,1 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და "ფორბსის" რუსულ რეიტინგში 45-ე ადგილზეა.

ჰილარი კლინტონი სამხრეთ სუდანში ჩავიდა

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი სამხრეთ სუდანში ჩავიდა. იგი პირველი ამერიკელი მაღალჩინოსანია, რომელიც ქვეყანას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ეწვია. სამხრეთ სუდანი სუდანს 2011 წლის 9 ივლისს გამოეყო. ამ ნაბიჯმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ორივე ქვეყნის ეკონომიკას, რომელთა შემოსავლის დიდ ნაწილს ნავთობი წარმოადგენს. სამხრეთ სუდანის გარდა, კლინტონი აფრიკის კიდევ 7 სახელმწიფოს ეწვევა.

ეგვიპტეს ახალი მინისტრთა კაბინეტი ჰყავს

გუშინ ეგვიპტის ახალი პრეზიდენტის მუჰამედ მურსის მიერ შექმნილი მინისტრთა პირველი კაბინეტის შემადგენლობა გახდა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ჰეშამ კანდილს 7 მინისტრი ყოფილი პრემიერის კამალ განზურის მინისტრთა კაბინეტიდან ჰყავს. მათ შორის არიან საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

უცვლელი დარჩა ქვეყნის თავდაცვის მინისტრიც. თავად განზური კი მურსის მრჩევლად დაინიშნა. ჯერ ცნობილი არ არის პრეზიდენტის გუნდი, რომლის შემადგენლობაც მალე გამოცხადდება.

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ახალ კაბინეტში ცვლილებების დანახვა ძნელია. ის, ძირითადად, ტექნოკრატებისგან შედგება, კაბინეტს მრავალფეროვნება აკლია, განაკუთრებით რელიგიური და გენდერული თვალსაზრისით. თუმცა, როგორც თავად პრემიერი აღნიშნავს, კაბინეტის დაკომპლექტებისას კომპეტენტურობის კრიტერიუმით იხელმძღვანელეს.

ვიეტნამში პირველი გეი-აღლუმი გაიმართება

ამ უქმეებზე ვიეტნამში ქვეყნის ისტორიაში პირველი გეი-აღლუმი ჩატარდება, რომლის ფარგლეში კონცერტები, ლექციები და კინოჩვენება გაიმართება. კვირას აქციის მონაწილეები ველოსიპედებით ჰანოის ქუჩებს შემოივლიან. ვიეტნამში ჰომოსექსუალიზმი კანონით არ იკრძალება, თუმცა, საერთშორისო მედიის თანახმად, უმცირესობის ნარმომადგენლები დისკრიმაციას განიცდიან. ივლისში ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა ხა ხუნგ კიონგმა განაცხადა, რომ დადგა დრო, ერთსქესიანი ქორწინება კანონით იქნეს აღიარებული.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიაში მშვიდობის მიღწევის იმედი გაქრა

პირველი გვერდიდან

ოფიციალურმა ვაშინგტონმა კი კოფი ანანის გადადგომაზე პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთსა და ჩინეთს დააკისრა. განცხადება ჯეი ქერნიმ გაავრცელა. მისი თქმით, მოსკოვმა და პეკინმა გაერო-ს უშიშროების საბჭოში არაერთი მნიშვნელოვანი რეზოლუცია დაბლოკეს, რითიც ანანს მუშაობაში ხელი შეუშალეს. რუსეთისა და ჩინეთის პოზიცია არასწორია და ისტორია აჩვენებს, რომ ეს ქვეყნები საჭირო დროს სირიელი ხალხის გვერდით არ იდგნენ. ჯეი ქერნის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ მხარს უჭერს სირიელი ხალხის სწრაფვას თავისუფლებისკენ და მოქმედი პრეზიდენტის ხელისუფლებიდან წასვლას მოითხოვს. კოფი ანანის გადადგომას აფრიკული ტურნედან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ვაშინგტონი სირიელი ხალხის მხარდაჭერას განაგრძობს. ჰილარი კლინტონმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ანანისთვის მეტი პოლიტიკური ინსტრუმენტის გადაცემა რამდენჯერმე დაბლოკა, რაც გაერო-სა და არაბულ სახელმწიფოთა სპეცწარმომადგენლისთვის სერიოზულ დაბრკოლებად იქცა.

თუმცა, რუსეთი თავს დამნაშავედ არ ცნობს, რასაც გაერო-ში მუდმივი წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის განცხადებაც მოწმობს. იგი სირიაში დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელებას ითხოვს, თანაც სამხედრო კომპონენტის დამატებით. გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას მანდატი სირიაში 19 აგვისტოს ეწურება. **"გენერალური მდივნისგან დაჟინებით მოვითხოვთ მისიისთვის სამხედრო კომპონენტის დამატებას. ზოგიერთი ქვეყანა ვერბალურად კოფი ანანის გეგმის მხარდაჭერას გამოხატავდა, მაგრამ მათი მოქმედება აბსოლუტურად განსხვავებული იყო, სტრატეგია კი ბუნდოვანი და ეს დღეს ყველაფერი აშკარა გახდა. დღეს აუხსნელია, რატომ არ უნდა გაგრძელდეს სადამკვირვებლო მისიის მანდატი,"** - განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა.

დასავლეთი მოსკოვისა და პეკინის ხისტი პოზიციით ხსნის გაერო-ს მისიის უუნარობას. **"ვფიქრობ, 19 აგვისტოს დამკვირვებლები მუშაობას დაასრულებენ. სავსებით ცხადია, რომ სირიის საკითხზე სახელმწიფოთა მიდგომები განსხვავებული რჩება. ერთიან სცენარს ვერ ვხედავ,"** - აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ჟერარ ორომ. სირიის საკითხზე საერთაშორისო საზოგადოების აზრთა სხვაობა ლონდონში ვლადიმირ პუტინისა და დევიდ კემერონის შეხვედრაზეც დადასტურდა. რუსეთის პრეზიდენტის განცხადება ერთიანი პოზიციის შესახებ, ბრიტანეთის პრემიერმა უარყო და აღნიშნა, რომ მიდგომები რადიკალურად განსხვავებული რჩება.

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სირიის შესახებ მორიგ რეზოლუციას კენჭი კი გუშინ უყარეს, რომელშიც უშიშროების საბჭოს მისამართით კრიტიკაც იყო გათვალისწინებული, რადგან მან ქვეყანაში სისხლისღვრის შეჩერება ვერ შეძლო. დოკუმენტს იურიდიული ძალა არა აქვს, მიზანი მხოლოდ უშიშროების საბჭოზე ზეწოლაა. პროექტმა, რომელიც ცოტა ხნის წინ საუდის არაბეთმა შეიმუშავა, არსებითი ცვლილებები განიცადა. ტექსტიდან ამოიღეს ბაშარ ალ-ასადის გადადგომისა და დამასკოსთვის ცალმხრივი სანქციების შემოღების მოთხოვნა. დოკუმენტის ავტორებს დამასკოსა და სხვა დასახლებული პუნქტებიდან ჯარის გამოყვანისა და სამხედრო მძიმე ტექნიკის გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნა აქვთ. ტექსტში ასევე დარჩა სირიის ხელისუფლებისა და მათ მხარეს მებრძოლი ადამიანების მხრიდან ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის კრიტიკა.

ბიუროკრატიული პროცედურებისა და საერთაშორისო ასპარეზზე განხეთქილების ფონზე კი სირიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. სროლისა და აფეთქებების ხმა არ წყდება ჰამაში, ალეპოსა და დამასკოში. რეგულარული არმიის იერიშის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არიან. სირიაში მმართველ რეჟიმთან დაპირისპირება უკვე 17 თვეა, გრძელდება, რასაც, ოფიციალური მონაცემებით, 20 ათასამდე პირი ემსხვერპლა.

კოფი ანანის გადადგომის შემდეგ მიმომხილველთა უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ სირიაში საერთაშორისო სამშვიდობო მისია საბოლოოდ ჩავარდა. რეალურად აღარავის აქვს იმედი, რომ კონფლიქტი მოლაპარაკებით (რომელიც უშუალოდ მხარეებს შორის არც დაწყებულა) გადაიჭრება. როგორც ჩანს, სამოქალაქო ომი გაგრძელდება მანამდე, ვიდრე რომელიმე მხარე არ გაიმარჯვებს, ამბოხებულები კი ამიერიდან უფრო ქმედით დახმარებას მიიღებენ. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ გუშინწინ აშშ-ს პრეზიდენტმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ამბოხებულების დახმარების უფლება მისცა, თუმცა იარაღის მიწოდებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის. ამას პრინციპში მნიშვნელობა არა აქვს, იარაღს "სირიის თავისუფალ არმიას" უკვე აწვდიან არაბული სახელმწიფოები (მათ უკვე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიც გაუჩნდათ) და ისინი ამ პროცესს ალბათ გააქტიურებენ. მოსკოვიც იარაღს ალბათ უკვე ღიად და უფრო აქტიურად მიაწვდის ოფიციალურ დამასკოს. ეს კი ნიშნავს, რომ სისხლისღვრა გაგრძელდება და პროცესის დამთავრებამდე კიდევ ბევრი ადამიანი დაიღუპება, მათ შორის - მშვიდობიან მოსახლეობაშიც.

ჩრდილოეთ კორეა საკვებს ითხოვს

ჩრდილოეთ კორეამ გაერო-ს სურსათის სასწრაფოდ მიწოდების თხოვნით მიმართა, რისი მიზეზიც ივლისში მომხდარი გამანადგურებელი წყალდიდობა გახდა. ეს ცნობა თვითონ გაერო-მ გაავრცელა. ფხენიანში ჩასულმა გაერო-ს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას საკვები და სხვა ჰუმანიტარული დახმარება დაუყოვნებლივ სჭირდება.

ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო მედიის ცნობით, წყალდიდობას, სულ ცოტა, 119 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ათი ათასობით უსახლკაროდ დარჩა. ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობისთვის მიყენებულმა ზარალმა კიდევ უფრო გაართულა კორეაში საკვების ნაკლებობის გამო არსებული ისედაც მწვავე სიტუაცია.

წყალდიდობის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა ქალაქი ანჯუ და სონჩონის ოლქი სამხრეთ ფხენიანის პროვინციაში და ასევე პროვინცია კანვონდოს. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს სასწრაფოდ ესაჭიროებათ საკვების მარაგი და სუფთა სასმელი წყალი, რადგან წყალდიდობის შემდეგ სასმელი წყალი დაბინძურებულია.

გაერო-ს წარმომადგენელმა ნიუ-იორკში დაადასტურა, რომ ჩრდოლოეთ კორეის მთავრობამ ორგანიზაციას ჰუმანიტარული დახმარების, საკვების და საწვავის სასწრაფოდ მიწოდება სთხოვა.

ზოგიერთმა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ უკვე დაიწყო დახმარებების და შემოწირულობების შეგროვება ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობისთვის. ხუთშაბათს "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტმა განაცხადა, რომ წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად 300 ათას დოლარს შეაგროვებს.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ ანჯუში გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა. სურათებზე კარგად ჩანს, რომ ზოგიერთი სახლი ჯერ კიდევ წყლით არის დაფარული, სასოფლო-სამეურნეო ნარგავებიც დატბორილია, ხოლო ხალხი სახლების ზედა სართულებს ან სახურავებს აფარებს თავს. ქალაქის სახალხო კომიტეტის უფროსის მოადგილემ კიმ კვან-დოკმა მედიას განუცხადა, რომ ეს იყო ქალაქის ისტორიაში ყველაზე დიდი წყალდიდობა.

ამინდის კატაკლიზმებს ჩრდილოეთ კორეაში, როგორც წესი, სურსათის ქრონიკული ნაკლებობის მდგომარეობის გამწვავება მოსდევს. მსოფლიო თანამეგობრობა არ არის დარწმუნებული, შეძლებს თუ არა ხელისუფლება სტიქიის შედეგებთან გამკლავებას და მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფას. ჩრდილოეთ კორეას ხშირად სჭირდება სურსათის ნაკლებობის შევსება ჰუმანიტარული დახმარებით.

ჩრდილოეთ კორეაში 1990-იან წლების შიმშილობამ ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გაერო-ს მიერ ივლისში გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ დროისთვის მოსახლეობის 67 პროცენტს მუდმივად აკლია საკვები.

"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით
მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

"გაიღიმეთ" ვენეციაში

პირველი გვერდიდან

კადრი ფილმიდან "გაიღიმე"

საფესტივალო დღეებს ვენეციაში ფილმის რეჟისორი და ჯგუფის წევრებიც დაესწრებიან.

რუსუდან ჭყონიას "გაიღიმეთ" ჯერჯერობით ქართველ მაყურებელს არ უნახავს. მისი დახურული ჩვენება მხოლოდ ერთხელ გაიმართა და იმედია, ამ ფილმს მალე ვიხილავთ, რადგან, გარდა იმისა, რომ ახალი ქართული კინოპროდუქცია ყოველთვის საინტერესოა, ჭყონიას ნამუშევარს სპეციალისტები ძალიან აქებენ. ამრიგად თანამედროვე ქართული კინოს კიდევ ერთი ქალი წარმომადგენელი შეემატა და იმედია, მისი საფესტივალო დებიუტი წარმატებული იქნება.

"გაიღიმეთ" საქართველოს, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის კოპროდუქციას წარმოადგენს (მწარმოებელი კომპანიები და პროდუსერები: Nik სტუდიო (საქართველო), Agat films & EX Nihilo (საფრანგეთი), "შამსა ფილმს" (ლუქსემბურგი). ასევე მწარმოებელი კომპანიაა ფრანგული ALVY PRODUCTIONS). სცენარი ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის გამარჯვებულია. ფილმის გადაღება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ფილმის სცენარიც რუსუდან ჭყონიას ეკუთვნის, აღმასრულებელი პროდიუსერია ვლადიმერ კაჭარავა, ოპერატორი - კონსტანტინე (მინდია) ესაძე, მთავარ როლებს კი ია სუხიტაშვილი, გია როინიშვილი, ოლგა ბაბლუანი, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნანა შონია, შორენა ბეგაშვილი, მაკა ჩიჩუა, ეკა ქართველიშვილი, ლელა მეტრეველი, ია ნინიძე და ბექა ელბაქიძე ასრულებენ

ფილმი ტრაგიკომედიაა. მისი სიუჟეტი მრავალშვილიანი დედების სილამაზის კონკურსის ირგვლივ ვითარდება. ათი კონკურსანტიდან ხუთი უკიდურესად გაჭირვებულ ფენას წარმოადგენს, თუმცა ძლიერი ოჯახების წარმომადგენლებიც მათზე არანაკლები ჟინით ცდილობენ მოიგონ კონკურსი და ბინას და 25 ათას დოლარს დაეპატრონონ.

რაც შეეხება ვენეციის კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამას, აქ "ურთიერთობას" 17 ფილმი გაარკვევს და მათ შორის რამდენიმე საკმაოდ "წონიანი" რეჟისორის ფილმი მოხვდა. მათ შორისაა, ბრაიან დე პალმას "ვნება", რომელშიც მთავარ როლებს რეიჩელ მაკადამსი, ნუმი რაპასი და პოლ ანდერსონი თამაშობენ. საკულტო კორეელი რეჟისორი კიმ კი დუკი ვენეციაში "პიეტას" წარმოადგენს, რომაულ მითოლოგიაზე დაყრდნობით გადაღებულ დრამას დედისა და შვილის ურთიერთობაზე. ვენეციის ჟიური და მაყურებელი იხილავს იაპონელი ტაკეში კიტანოს "კანონს გარეშესაც" (Outrage: Beyond), რომელიც 2010 წელს გამოსული ფილმის სიკველი გახლავთ და კვლავაც იაკუძას ორ კლანს შორის არსებულ მარადიულ დაპირისპირებაზე მოგვითხრობს.

"ოქროს ლომის" დაპატრონებას შეეცდება ბოლო წლებში უჩვეულოდ გააქტიურებული ტერენს მალიკიც ფილმით "აღფრთოვანებისკენ" (To the Wonder). ამჯერად მალიკმა თავის ფილმში ბენ აფლეკი, ოლგა კურილენკო, რეიჩელ მაკადამსი და ჰავიერ ბარდემი დააკავა და სწორედ მათი პერსონაჟების მეშვეობით მოგვითხრობს დრამას ხელმოცარული მწერლის შესახებ.

წლევანდელი ვენეციის ჟიურის თავმჯდომარე ამერიკელი რეჟისორი მაიკლ მანი იქნება. სხვათა შორის, შარშანდელი ფესტივალის ჟიურისაც ასევე ამერიკელი რეჟისორი დარენ არონოვსკი ხელმძღვანელობდა. მისი და ჟიურის დანარჩენი წევრების გადაწყვეტილებით ოქროს ლომის ლაურეატი ალექსანდრე სოკუროვის "ფაუსტი" გახდა, მაიკლ ფასბენდერმა სტივ მაქუინის "სირცხვილში" შესრულებული როლისთვის საუკეთესო მამაკაცი მსახიობის წოდება დაიმსახურა, ხოლო ჰონგ კონგური "მარტივი ცხოვრების" მთავარი გმირის განმასახიერებელი დინა იპი საუკეთესო მსახიობ ქალად დაასახელეს.

წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში კიდევ ერთი პარალელური ღონისძიება გაიმართება - პროექტი სახელწოდებით "80!" ვენეციის კინოფესტივალის 80 წლის იუბილეს ეძღვნება. მის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ათი უიშვიათესი ფილმი, რომლებიც ვენეციის ბიენალეს არქივშია დაცული (Archivio Storico delle Arti Contemporanee della Biennale). შვიდი სრული და სამი მოკლემეტრაჟიანი ნამუშევარი სხვადასხვა წლებში სწორედ ვენეციის კინოფესტივალის სექციებში იყო წარმოდგენილი, თუმცა, დიდი კინემატოგრაფული ღირებულების მიუხედავად, ისინი პრაქტიკულად მხოლოდ ფესტივალის მაყურებელს აქვს ნანახი. საარქივო ათეულის ფილმია კარლოს საურას მიერ 1968 წელს გადაღებული შავ-თეთრი Stress-es tres-tres, 1936 წელს გადაღებული საბჭოთა კინოს ერთ-ერთ გამორჩეული, თუმცა პრაქტიკულად უცნობი ფილმი "უკანასკნელი ღამე", ჟან დელანოის 1950 წლის "ღმერთს ადამიანები სჭირდება", რენატო კასტელანის 1961 წლის ფილმი "ყაჩაღი" და სხვები.

ედინბურგში სამზადისია

შოტლანდიაში ხელოვნების 66-ე საერთაშორისო ფესტივალი იწყება

3 აგვისტოს ედინბურგის ფესტივალის პირველი ეტაპი დაიწყო. "ფრინჯი" - ქუჩის ხელოვნების ფესტივალი 27 აგვისტომდე გაგრძელდება. თუმცა მანამდე, ზუსტად ერთ კვირაში შოტლანდიის დედაქალაქში დაიწყება ამ ქალაქის ხელოვნების რიგით 66-ე საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პროგრამა. ედინბურგში ფიქრობენ რომ წელს "ფრინჯი" ყველაზე მასშტაბური იქნება თავისი ისტორიის განმავლობაში. მასშტაბს განაპირობებს არა სტუმრების დიდი ნაკადი, რამდენადაც ქუჩის წარმოდგენების რაოდენობა. კონკრეტულად - 2695 წარმოდგენა. ფესტივალის მონაწილეების რიცხვი კი 22,5 ათას ადამიანს წარმოადგენს.

წარმოდგენები გაიმართება 280 განსხვავებულ სივრცესა და ადგილას: თეატრებში, კაფეებში, ბარებსა და ტაძრებში. ფესტივალის პროგრამაში დამატებულია კიდევ ერთი პროგრამა - Spoken Word. მის ფარგლებში გაიმართება პიესების, პოეზიის, ზღაპრებისა და ესეების კითხვა. სულ 41 შეხვედრა-მოსმენა.

ცალკე საფესტივალო პროგრამა მიეძღვნება დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ II-ის იუბილეს. "სამეფო ცირკის" ვარიეტე სპეციალურად დედოფლისთვის ამზადებს პროგრამას სათაურით "დედოფლის არჩევანი", ხოლო დრამატურგმა ნიკოლ მაკალიფმა დაწერა ახალი პიესა "ჩაი მოხუცებულ დედოფალთან ერთად" (Tea With The Old Queen).

დავუნრუნდეთ "ფრინჯის" პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ედინბურგში ღია ცის ქვეშ იხილავენ სხვადასხვა დარგის წარმოდგენებს - ბალეტს, დრამატულ თეატრს, საოპერო გამოსვლებს, კაბარეს და ასევე სხვადასხვაგვარ საბავშვო წარმოდგენებს. "ფრინჯის" ორგანიზატორები იმედოვნებენ რომ მისი მაყურებელის რაოდენობის გაზრდაში გარკვეულ როლს ითამაშებს ლონდონში მიმდინარე ოლიმპიური ჩემპიონატი. თუმცა ამ ფესტივალს თავისი მაყურებელი ყავს, რომელიც მან დაარსების მომენტიდან დააგროვა. მისი ისტორია ხომ 1947 წლიდან იწყება.

4-5 აგვისტო

აფიშა

კინო

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა 165 წთ
გახმოვანება: რუსული

ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული

რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - 3D

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი, ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული

ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული

ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადაგები"

რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული

ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 62
პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კოსნტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგნელობის უმარვლეოსობით.

კონსტიტუციის 62-ე მუხლის მიხედვით ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, როგორებიცაა ომი და ზავი, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება აუცილებელია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საგანგებო მდგომარეობა ეს არის დროებითი ღონისძიება, რომელიც ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობისა თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიელებისა თუ შეაირაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფებისა თუ სხვა შემთხვევებში. იმ დროს, როდესაც ვერ ხდება კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელება.

ამავე მუხლის მიხედვით პარლამენტის წევრთა უმრავლესობით ხდება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისიწინებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას შეზღუდოს ძირითადი უფლებები ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში ქვეყანაში არსებული საგანგებო ან სომარი მდგომარეობის დროს. ეს უფლებებია მე-18 მუხლი (პიროვნების თავისუფლება), მე-20 მუხლი (პირადი მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა) 21-ე მუხლი, (საკუთრების უფლება), 22-ე მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება) 24-ე მუხლი (აზრის, ინფორმაციისა და პრესის თავისუფლება), 25-ე მუხლი (შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება), 30-ე მუხლი (შრომის თავისუფლება), 33-ე მუხლი (გაფიცვის უფლება) და 41-ე მუხლი (პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა).

აკაკი კუბალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

მუხლი 63
1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.
2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ _ კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.
3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.
4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.
5. დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან სომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

იმპიჩმენტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ, საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლით გათვალისწინებულია პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა. იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პარლამენტს. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არა ნაკლებ ერთ მესამედს.

საკითხის აღძვრის შემდეგ, იგი დასკვნისათვის გადაეცემა შესაბამისად - უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ - კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არა ნაკლებ ორმა მესამედმა.

თუ პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყების დღიდან 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო 1 წლის განმავლობაში დაუშვებელია პრეზიდენტისთვის იმავე ბრალდების წარდგენა.

დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს. გარდა ამისა, დაუშვებელია იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა საქართველოს მთავრობის ფორმირების პროცესის დაწყებიდან აღნიშნული პროცესის დასრულებამდე.

მზია ფუტკარაძე
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, საქართველოს ა.მოწყობილობის, ქ№26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

ოქროს ბიჭუნა

პირველი გვერდიდან

ოქროს ბიჭუნა არსაიდან. ასე ახასიათებენ მას ჩვენი კოლეგები. აგრესიული, ტექნიკური, მუდამ მეტოქეზე დაგეშილი. ასეთი დაამახსოვრდათ ქართველი ფალავანი ლონდონში. საქართველო ლაშას უნდა გაუფრთხილდეს. მან არ უნდა გაიზიაროს ზურაბ ზვიადაურის ბედი და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ლაშა შავდათუაშვილი კიდევ მოიგებს ოლიმპიურ მედლებს.

ეს გუნდი ახალგაზრდულია და ის კიდევ ბევრ სიურპრიზს მიუძღვნის მსოფლიო ძიუდოს სამყაროს. ძიუდომ საქართველოსთვის ოქროს მედალი მოიგო. ეს ხუმრობა არ გახლავთ. საკმარისია ითქვას, რომ ვაჟთა შორის იაპონია ოქროს გარეშე დარჩა. ამით ყველაფერი გასაგებია. ძიუდოისტთა ამ ნაკრებმა გუნდური ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ფინალში, რუსეთში რუსეთის ნაკრები დაამარცხა. ის რუსეთის ნაკრები, რომელმაც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე 3 ოქროს მედალი მოიპოვა. საგულისხმო ფაქტია.

უნდა ვაღიაროთ, რომ ძიუდოისტებს მეტი მედლის მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ რიგ შემთხვევებში არ გაუმართლათ. მაგალითად, ვარლამ ლიპარტელიანთან დაკავშირებით იყო ნიუანსები, რომელიც გარედან არ ჩანს, მაგრამ ძიუდოს სპეციალისტები აღიარებენ, რომ კუბელმა არბიტრმა ლიპარტელიანისა და ავსტრალიელი მარკ ენტონის შეხვედრაში შეცდომა დაუშვა, რამაც საბოლოო შედეგზე იმოქმედა. ქართველს ასპროცენტიანი ვაზარი არ ჩაუთვალეს. არადა, ვარლამი მეოთხედფინალში გადიოდა და მედლის რეალური კანდიდატი ხდებოდა. ასეთი ნიუანსები ძიუდოს ტურნირზე ბევრი იყო და გულშემატკივარი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს.

ადამ ოქრუაშვილი პირველ წრეში აგებს

ჩვენი ძიუდოისტების ბოლო აკორდი ადამ ოქრუაშვილის გამოსვლა იყო. მძიმე წონით კატეგორიაში ადამი პირველივე წრეში გერმანელ შტოლცერს შეხვდა. შტოლცერი მსოფლიო რეიტინგში მეორე ნომერია და ფიზიკურად ძალიან ძლიერია. ოქრუაშვილმა მრისხანე მეტოქეს 4 წუთი გაუძლო, შემდეგ კი იპონით დამარცხდა.

"ვერ გამოვედი კარგად. გერმანელი ფიზიკურად ძალიან ძლიერია. მძლავრი ჩაჭიდება აქვს. სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს და ერთ-ერთი ილეთი გამომრჩა მხედველობიდან. მას ადრეც შევხვედრივარ და ჩემთვის უხერხული მეტოქეა." - ორთაბრძოლა დაახასიათა ადამ ოქრუაშვილმა.

ძიუდოისტთა ნაკრების გამოსვლას ახასიათებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გიორგი ვაზაგაშვილი:

- ადამისთვის ძნელი იყო შტოლცერის დამარცხება, რადგან გერმანელი მისთვის უხერხული მეტოქეა. ადრეც შეხვედრია მას და მაშინაც წააგო. ვიდრე ადამი კარგად იჭერდა მეტოქის ცაციას, გერმანელმა ვერაფერი გააწყო, მაგრამ შემდეგ, როცა შტოლცერმა ცაციის ამოქმედება მოახერხა, ადამი ილეთზე დაიჭირა და დაამარცხა.

- ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებდი. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები დაინახე ამ ოლიმპიურ თამაშებზე?

- ძიუდომ ოქროს მედალი დადო. შესაბამისად, ყურჩამოყრილნი არ უნდა დავრჩეთ. ჩვენ ახალგაზრდული და მზარდი გუნდი გვყავს. ეს გუნდი მომავალში ბევრს მიაღწევს. გუნდური ევროპის ჩემპიონატი მოვიგეთ რუსეთში და ფინალში მასპინძელთა ნაკრები დავამარცხეთ. ესეც ხომ თვალსაჩინო მიღწევაა? ამ თამაშებზე გული იმაზე მწყდება, რომ ჩვენს რამდენიმე ძიუდოისტს რეალურად მედლის მოპოვება შეეძლო და რიგი ნიუანსების გამო არ გაუმართლათ.

- კონკრეტულად ვის გულისხმობ?

- სიმართლე გითხრა, ვარლამ ლიპარტელიანისგან ოქროსაც ველოდით. თბილისში რადიო, თუ სატელევიზიო კომენტარებში აცხადებენ, რომ მსაჯები კარგად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ყველაფერი კარგად მიდიოდა, უბრალოდ ჩვენი ძიუდოისტები იყვნენ მოუმზადებლები. არ არის ასე. გუნდი ძალიან კარგად იყო მომზადებული და ძნელია, როცა არაკომპეტენტურ კომენტარებს ისმენ. ვარლამი მსაჯებმა ძალიან დაჩაგრეს. თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით, თუ დაინტერესდებით იმ შეხვედრით ლიპარტელიანმა რომ წააგო, ჩანაწერს უყურეთ და მიხვდებით, რომ მსაჯმა იპონი, თუ არა ასპროცენტიანი ვაზარი არ ჩაუთვალა ვარლამს. გუშინ გამთენიის 4 საათამდე ვუყურებდით ამ მომენტს და ყველამ ერთხმად ვაღიარეთ, რომ ის გდება სულ ცოტა ვაზარი მაინც იყო. ავსტრალიელი ტატამს ორივე ბეჭით შეეხო, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ იუკო დააფიქსირა. ავსტრალიელს კი იუკო აჩუქა. განმეორებაში ნათლად ჩანს, რომ ავსტრალიელის გდების მომენტში კონტაქტი არ ყოფილა. შესაბამისად, თუ კონტაქტი არ იყო ქულაც არ ითვლება.

- რატომ მოიქცა მსაჯი ასე?

- იმიტომ, რომ კუბელი არბიტრი იყო. მეოთხედფინალში კი ლიპარტელიანი სწორედ კუბელ ფალავანს ხვდებოდა და შეიძლება ითქვას, არბიტრმა მწვანე შუქი აუნთო თანამემამულეს.

- როგორ ფიქრობ, ამ ოლიმპიური თამაშების შემდეგ მოხდება გუნდში ცვლილებები. რამდენად დიდია ნაკრებში კონკურენცია?

- კონკურენცია, რასაკვირველია არის და შევეცდებით კიდევ უფრო გავზარდოთ. მაგალითად, 60 კგ. წონით კატეგორიაში გვყავს შუკვანი და პაპინაშვილი, 81 კგ-ში ჭრიკიშვილი და ახალგაზრდა, 17 წლის ღვინიაშილი, რომელიც მომდევნო ოლიმპიური თამაშებისთვის 21 წლის იქნება და ჭრიკიშვილს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. მძიმე წონაში ოქრუაშვილის და ხანჯალიაშვილის გარდა გვყავს ახალგაზრდა მატიაშვილი. ასე, რომ ეს გუნდი მზარდია და შედეგს აუცილებლად მოიტანს.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სამშობლოში დღეს დაბრუნდება. მის ადგილს კი ბერძულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დელეგაციები დაიკავებს.

მიწას ამოდებული ლონდონი

პირველი გვერდიდან

უცხო ქვეყნის შვილისთვის ლონდონის სატრანსპორტო სისტემაში გარკვევა არცთუ იოლი საქმეა. ანდერგრაუნდის ანუ მიწისქვეშეთის ცალკეულ სადგურებზე არის ოვერგრაუნდზე (მიწის ზევით) და ელექტრო მატარებლებზე გადასასვლელები თუ გადასაჯდომები. არის კიდევ DLR - ერთგვარი მატარებელი, რომელიც ვატმანის გარეშე მისთვის გამოყოფილ დამოუკიდებელ ხაზზე მოძრაობს. შეიძლება ითქვას, ავტოპილოტით.

თითოეულ სადგურთან არის ავტობუსის გაჩერება, რა თქმა უნდა, ორსართულიანი წითელი ავტობუსის, რომელსაც ერთგვარი სადარბაზო ბარათის დანიშნულებაც აქვს და მეტროზე იაფიც ღირს.

საგანგებოდ ოლიმპიური თამაშებისთვის ლონდონის მერიამ და ტრანსპორტის დეპარტამენტმა დაამზადეს პლაკატები, რომელიც ანდერგრაუნდის ლაბირინთებში გარკვევაში გვეხმარება.

არის კიდევ ისეთი სარეკლამო დაფები, რომელიც ოლიმპიური არენებისკენ გიბიძგებს. მათ შორის გუშინ დაწყებულ მძლეოსანთა ასპარეზობებზეც. ლონდონის მერიისა და ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებულმა ხრიკმა გაჭრა. დილის საკვალიფიკაციო ასპარეზობებზე, ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნებზე, დილის სეანსებისთვის უჩვეულოდ ბევრ ადამიანს მოუყარეს თავი.

ლონდონის ანდერგრაუნდში, რა თქმა უნდა, ძირითადად ბრიტანელ სპორტსმენთა პლაკატებით სპეკულირებენ. შეიძლება ითქვას, პატრიოტიზმს აღვივებენ მათში და თითოეულს ბრიტანელ ოლიმპიელთა საგულშემატკივროდ უხმობენ.

მგზავრთა გუნება-განწყობაზე მუშაობენ მოხეტიალე მუსიკოსებიც. მსგავსი სურათი თბილისის მეტროშიც გვხვდება, მაგრამ სხვაობა მათ შორის ისაა, რომ აქ უფრო გემოვნებიან მუსიკას უკრავენ და მეტად პროფესიონალებიც არიან. უკრავენ გასამრჯელოს თუ შემოწირულობის სანაცვლოდ. ეგაა, ამ მხრივ ბრიტანელებში დიდი ენთუზიაზმი ჯერ ვერ შევნიშნე - ხურდა ფული არცთუ თვალშისაცემად ელვარებს. სცენის წინ მოწყობილ ერთგვარ სალარო ქუდში მხოლოდ რამდენიმე გროშს მოვკარი თვალი. თვალშისაცემი ვაგონებში მოკალათებულთა ხელში გაშლილი გაზეთებია. ძირითადად 68-გვერდიანი "ვნინგ სტანდარტი", რომლებიც უფასოდ რიგდება ცენტრალურ თუ

საკვანძო ხაზებზე და გვერდების ნახევარი ოლიმპიური თამაშების სიახლეებს ამცნობს საკუთარ მკითხველს. "ივნინგ სტანდარტი" სახელიდან გამომდინარე საღამოს რიგდება, დილა კი გაზეთი "მეტროს" კითხვით იწყება. არიან ისეთებიც, რომლებიც გაზეთს ელექტრონულ წიგნებს ამჯობინებენ, მაგრამ ასეთები ძალზე ცოტანი თუ არიან.

ლონდონის მიწისქვეშეთში აშკარა დემოკრატიაა. აქ მშვიდად შეგიძლია ჭამო, დალიო, დაიძინო. ერთადერთი სიგარეტის მოწევაა აკრძალული და ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსენებენ კიდეც. აკრძალულია ალკოჰოლური სასმელის მიღებაც, მაგრამ ამის აღმნიშვნელს აქ ვერაფერს ნახავთ. ერთი დღით ადრე ლიტველი ტურისტი პოლიციამ გარეთ მხოლოდ იმიტომ გააბრძანა, რომ ის დასაშვებზე მეტად შეზარხოშებული ცდილობდა სადგურზე შესვლას. არადა, მარტოც არ იყო, გოგო ახლდა, რომელიც მეურვეობდა კიდეც მეგობარს, მაგრამ ლონდონის პოლიცია შეუვალი აღმოჩნდა.

ლონდონის მეტროპოლიტენი, უფრო სწორად, ანდერგრაუნდი მძლეოსანთა ასპარეზობების დაწყების გამო მგზავრთა ახალ ტალღას ელოდება. თუ ოლიმპიური თამაშების საწყის დღეებში იყო გრაფიკიდან ამოვარდნები, დროთა განმავლობაში ესეც დაიხვეწა. ფაქტია, დღითი-დღე მეგაპოლისის სატრანსპორტო სისტემა იხვეწება გამტარიანობით.

თითოეულ სადგურთან მორიგეობენ მოხალისეებიც, რომლებიც გზააბნეულ მგზავრს სწორ გზაზე დააყენებენ, მაგრამ სჯობს არაფერი კითხოთ და თავად გაიკვალოთ გზა, თორემ ზედმეტად თავზე გადაგყვებიან, დაგიღეჭავენ მარშრუტს.

ერთი სიტყვით, სატრანსპორტო კოლაპსი, რომელსაც უქადდნენ ლონდონს, ჯერჯერობით, არ იგრძნობა.

კლასიკა

პირველი გვერდიდან

გარჩევა გაგრძელდა და დელ პოტრომ სამჯერ რთული გეიმი გამოიღო, სეივი გააკეთა. ორჯერ არგენტინელმა 0:40 დაქაჩა და მესამედ იგივე ფოკუსი არ გამოვიდა. ფედერერმა დელ პოტრო დააბრეიქა და ხუან მარტინი ენერგიისგან დაიცალა.

დელ პოტრო კარგი იყო. თითქმის ის დელ პოტრო, რომელმაც სამი წლის წინ ამერიკული სლემის ფინალში მოუგო ფედერერს. მაშინ არგენტინელმა რაღაც დიდი წამოიღო. დელ პოტროც დიდია. არგენტინელი დიდი გულით და კეთილი თვალებით. დელ პოტრო არგენტინაში ლეგენდაა. ერთადერთი ტიპი პრო ტურზე, რომელმაც ფედერერის, რაფაელ ნადალის და ნოვაკ ჯოკოვიჩის გარდა, ბოლო შვიდ სეზონში დიდი სლემის ტურნირი მოიგო.

როჯერმა კიდევ ერთი ეპიკი წამოიღო. თითქმის ისეთივე დამღლელი, როგორც სამი წლის წინ, უიმბლდონის ფინალში. მაშინ ენდი როდიკი აიჭრა. ლონდონში დელ პოტროს ეწყინა.

როჯერ ფედერერი ფინალშია

როლან გაროზე დელ პოტრომ ფედერერს პირველი ორი სეტი წაართვა და ვერ გაქაჩა. ხდება ხოლმე. როჯერი ფედერერია.

როჯმა 4 საათი და 26 წუთი ირბინა. მაიკლ ფელპსმა თავის ოლიმპიურ კარიერაში 90 წუთზე ნაკლები გაცურა. და 19 მედალი აქვს აღებული.

დელ პოტრო კარგი იყო. თითქმის ის დელ პოტრო, რომელმაც სამი წლის წინ ამერიკული სლემის ფინალში მოუგო ფედერერს. მაშინ არგენტინელმა რაღაც დიდი წამოიღო. დელ პოტროც დიდია. არგენტინელი დიდი გულით და კეთილი თვალებით.

უბრალოდ, როჯერი ფედერერია.

ჯერ მხოლოდ ნიგერია

ზურაბ თალაკვაძე

ამერიკამ ნიგერიას 156:73 გაუკეთა. ამერიკას ერთხელ უნდა ჩაუჯდე და წამოიღებს. ნიგერიასაც ერთხელ უნდა ჩაუჯდე და წამოიღებს. თუ ნიგერია ამერიკაზე გადის და იქ კობი ბრაიანტი ცელქობს. თუ ნიგერია ამერიკაზე გადის და იქ ლებრონ ჯეიმსი ცელქობს. თუ ნიგერიასთან კევინ დიურანი და კარმელო ენტონი ხურდებიან და ბიჭები თამაშის მუღამზე არიან. ამერიკა ნიგერიასთან გაერთო და რაღაც მომენტში, ჩვენც მაგარი გავერთეთ. მხოლოდ რაღაც მომენტში. მერე ნიგერიამ შავი ცრემლებით იქვითინა, ისლუკუნა და ამერიკამ საქმე გააკეთა. სპილოებზე ნადირობის და გეპარდების აჩეხვის სეზონი გაიხსნა. აუხსნელი, ასახსნელი სეზონი.

კარმელო ენტონიმ ვერ ახსნა, როგორ აუწია ამერიკამ ყური ნიგერიას. ყურის აწევის შემდეგ, ამერიკამ მაიკ ტაისონს დაუძახა და მაიკმა 77 დოლარად ნიგერიას ყურზე უკბინა. როგორც მაშინ, ევანდერ ჰოლიფიდს. ის ყური შეკერეს, გაკერეს, ამოკერეს. ნიგერია მორჩა, უყურო შრეკივით დარბოდა და არ იცოდა, რომელ ფუღუროში შემძვრალიყო. ამერიკულმა პილორამამ მწვანე ნიგერია გააწითლა, სისხლისგან დაცალა. ერთ გარჩევაში ბევრი ოლიმპიური რეკორდი ჩაჯდა. ამერიკის ელჩებმა ნიგერიის კარგ ბიჭებს შალაბანები ურტყეს და არ დაინდეს. მტკივნეული იყო. მართლა მაგარი მტკივნეული იყო. ამერიკასთან ტკივილგამაყუჩებელიც არ მოსულა, უაზრობაა.

კარმელო ენტონიმ 14 წუთში 37 ქულა მოხსნა. არ ხდება ხოლმე. 14 წუთში და 29 წამში 37 ქულის წამოღება მურტალია. ენტონი კალათბურთში ტირანოზავრია და 1 წუთში, საშუალოდ თითქმის 3 ქულის აღება ჯორდანულია. ენტონიმ ნიგერიის ამაყ და განვითარებად ნაკრებს ამაყად და ამერიკულად უჩქმიტა ლოყაზე, წადი, შვილო ჩვენი დივიდი იყიდე, ჩიფსების რამდენიმე პარკი დაითრიე და კალათბურთის თამაშს რეალურ კალათბურთელებთან შეეჩვევი, აზრზე მოხვალო. ნიგერია აზრზე მოდის. ნუ, ცდილობს.

ამერიკამ დარბაზში შეისეირნა. ლებრონმა პატარა დახლი დადგა, კობის თეთრი წინსაფარი მიუგდო და მისტერ ბრაიანტმა პონჩიკების გაყიდვა დაიწყო. შოკოლადის, ვაშლის პიურეს, ვანილის, ნუშის და ანანასის პონჩიკები. ბრაიანტი მოედანზეც გადიოდა, კალათბურთს თამაშობდა და მერე დახლთან ბრუნდებოდა. იქ პონჩიკებს თავის ფასში ითვისებდნენ ენტონი, დერონ უილიამსი, კრის პოლი და კევინ ლავი. ამერიკაც გემრიელი პონჩიკი იყო. ნიგერიამ პონჩიკი ვერ აითვისა, ორანგუტანგის ფილეს ელოდებოდა და დესერტი არ წავიდა.

ამერიკამ რეკორდები დასვა. ამერიკული რეკორდები ოლიმპიადაზე. კარმელო ენტონის 37 ქულა (მანამდე ამერიკისთვის ოლიმპიადებზე სტეფონ მარბერის 31 ქულა, ათენში ესპანეთთან იყო უმეტესი). კარმელო ენტონის ნასროლი (12) და ჩასმული (10) სამიანი. გუნდური რეკორდები ქულებში (156), თამაშიდან ზუსტ სროლებში (59), ნასროლ (46) და ათიანში გაშვებულ (29) სამიანებში. 41 პასით ამერიკამ ოლიმპიური რეკორდი გაიმეორა. ენტონი ტესტამდე სერიოზულ ოკულისტთან მივიდა, ლებრონ ჯეიმსის ოფლსაწმენდი აჩუქა და ოკულისტმა "ნიქსის" ფორვარდს მაგარი ლინზები ჩაუყენა. კარმელომ არასრულ 15 წუთში ინდიანა ჯონსის მათრახით დაამშვიდა ნიგერია. ენტონი ტრანსფორმერი იყო. ენტონი ემინემის არითმიით რეპავდა და კარმელოს კალათბურთში მომენტებში, სნუპის ცინიკური ლირიკაც ისმინებოდა. ნიგერია რეპზე აცრილია. ნიგერია კალათბურთზე კალათბურთით აცრეს.

ამერიკამ თამაშიდან სროლების 71 პროცენტი გამოიყენა. სტივენ სპილბერგი ამ თემაზე უკვე ახალ ბლოკბასტერს იღებს. კალათბურთში, ოლიმპიადაზე ამ პროცენტით არ ისვრიან. სამიანების 63 პროცენტის გამოყენებაც ამერიკულია. ეს უკვე ოლივერ სთოუნის თემაა. სთოუნი ოცეულზე მეორე ფილმის გადაღებას იწყებდა და გადაიფიქრა. მისტერ სთოუნის სცენარში დაბერებული ჩარლი შინი ახალგაზრდა კარმელო ენტონიმ შეცვალა.

ამერიკას მაიკ კუიჟევსკი ალაგებს. მაიკს ამ ტერორისტების მწვრთნელის სივი აქვს და ის სივი ოლიმპიურ დარბაზში შესასვლელად უნდა. კუიჟევსკი ყველაზე უსაქმური და ბედნიერი მწვრთნელია. არ აქვს საქმე - ბიჭები პრობლემებს უპრობლემოდ აგავრებენ. და მაიკი უფასოდ, ახლოდან, პირველი რიგიდან უყურებს მსოფლიოში საუკეთესო გუნდს. ყველა სახეობაში. ეს ამერიკა უფრო სექსუალურია, ვიდრე ფეხბურთის "ბარსელონა". ეს ამერიკა უფრო უკომპლექსოა, ვიდრე ჟენია მალკინის და სიდ კროსბის ჰოკეის "პიტსბურგი". ეს ამერიკა უფრო ამერიკულია, ვიდრე "იანკისი". ეს ამერიკა ამერიკელების ბანდაა. ჯერ

ლებრონ ჯეიმსის კიდევ ერთი სლემი

მხოლოდ ნიგერია. მერე სხვებსაც მოხვდებათ. ყველგან.

ნიგერია აფრიკის ამერიკაა. მესამე მეოთხედისთვის ნიგერიას 100 ქულა დაუსვეს და ჭრილობა არ შეხორცდა, დაჩირქდა. ამერიკა სკალპელს სტერილიზაციას არ უკეთებდა და ამერიკამ ნიგერიას ყველა ადგილიდან ატკინა. ნიგერიამ თამაში ტვინის შერყევით დახურა. ხდება ხოლმე. ენტონიმ კლაივ ბარკერის რუბიკ-კუბიკი ააწყო და ტკივილს ჭიშკარი შეუღო. ნიგერიის ბაღში ბევრი ცუდი, მშიერი და ძველი არსება შევიდა. კლაივ ბარკერის "სისხლის წიგნი" კარმელო ენტონიმ გადაწერა. უნდა გადაეწერა.

კობი ბრაიანტმა 16 ქულა წამოიღო. და დაისვენა. კობი აგრესიული და მშვიდი იყო.

კევინ დიურანმა 14 ქულა ჩაიყარა განიერ ჯიბეებში და კრეკერებივით დაახრამუნა.

კობიბ და კევინმა საქმე გააკეთეს და ბიჭებმა ნიგერიას ბევრი ავტოგრაფი დაუტოვეს. ავტოგრაფი კალათბურთის შოპენებისგან კალათბურთის დამწყებ და მუქი ფერის პიანისტებს.

კარმელო ხუთეულში ცოტა მერე შეაგდეს. ენტონი პირველ სამ სამიანს აგდებს. ენტონი სერიოზული ტიპია. ლებრონის, პოლის, კობის, კუიჟევსკის პასით, თავისი იმპროვიზაციით, კარმელო კომფორტულ სიტუაციას იქმნიდა. შედიოდა ტირში და სროლას იწყებდა. დიდ შესვენებამდე მისტერ ენტონიმ 7/5 სამიანი გამოიყენა. მესამე მეოთხედში კარმელო გაგიჟდა. მეოთხედის დახურვამდე ხუთი წუთით ადრე, კარმელოს სათამაშო დრო დაიხურა და ამერიკა იმ მომენტში უკვე 47 ქულას იგებდა. ენტონისთან ერთად, კუიჟევსკის გუნდმა 30 სამიანიდან 20 შეასრულა ზუსტად და ნიგერია ყველაფერს იწერდა, ინიშნავდა, არ ავიწყდებოდა არაფერი. ენტონის გასვლის შემდეგ, ამერიკულმა ბანდამ კიდევ 9 სამიანი გამოიყენა და ფესტივალი მალე დაიხურა. კარგი მოსასმენი ჯაზი იყო. ცოტა იქით, აუზში მაიკლ ფელპსი სხვა რეკორდს ამყარებდა. ფელპსიც ცუდი ამერიკელი ბიჭია. ამერიკაც. ფელპსმა მოგვიანებით კუიჟევსკის და კობის მიუმესიჯა, მაგრები ხართ, შემდეგ თამაშზე უეჭველი მოვალო. მაიკლი ამ გენერაციის მეტ ბიონდი, ჯონი ვაისმიულერი, ვლადიმირ სალნიკოვია. ეს ამერიკა ამ გენერაციის პოლ მაკარტნია.

29 სამიანის ათიანში გაშვება რთულია. 29 სამიანი დარბაზში ბევრი საათის დატოვებით უნდა ჩააგდო. დიურანი, ენტონი, კობი და ამერიკა ნიჭიერი კრიმინალების ჯგუფია. ამ ჯგუფმა ნიგერიას თვალი ჩაუკრა და ინდიანა ჯონსის ბოლო სერია ჩაურთო. ჩაუჯექით, ბიჭებო, კლასიკას შეხედეთ და მერე კლასიკურ კალათბურთს შეხედეთ. ძველი დრიმ თიმი ლარის, მეჯიქის და მაიკლის ისტორია იყო. ეს გუნდიც ბევრს ასწრებს.

ამ ამერიკის გაჩერება უფრო რთულია, ვიდრე იმის აღიარება, რომ ნიკოლაი რასტორგუევი ჯონ ლენონზე ნიჭიერი მუსიკოსია. კუიჟევსკიმ კარე გადაშალა. ადრე, ბარსელონაში იგივეს აკეთებდა პირველი დრიმ თიმი, სადაც ბოსი ჩაკ დეილი იყო.

ამერიკის ვარჯიშზე ბრაზილიელი ჯორდანი, ოსკარ შმიდტი მივიდა. სენიორ შმიდტმა 24 წლის წინ, ესპანეთს 55 ქულა მიარტყა. ოლიმპიური რეკორდი. შმიდტმა ენტონის რაღაც სუვენირი მისცა. ენტონი ნიგერიასთან თითქმის შმიდტი იყო. ოსკარი ყველა სიტუაციიდან სკადებს უშვებდა და იგივე გააკეთა კარმელომ.

ძველი, ლარის, მეჯიქის და მაიკლის დრიმ თიმი სხვა თემა იყო. ის გუნდი არ დადიოდა, ანგელოზებთან ერთად გლიასეს წრუპავდა და ისვენებდა. ეს დრიმ თიმი ცოტა ადამიანური გუნდია და მაინც არაადამიანურად აკეთებს ყველაფერს. ენტონის, ჯეიმსის, დიურანის, პოლის დერონ უილიამსის, ლავის და კობის გუნდი ერთმანეთით იგებს და ამ გუნდში უნდა ყოფილიყვნენ განიერი დუაიტ ჰოვარდი, მოქნილი კრის ბოში და ელეგანტური დერიკ როუზი. უკვე უხერხული სიტუაცია შეიქმნებოდა. მაგარი უხერხული.

ამერიკამ ნიგერიას 156:73 დაუტოვა. ამერიკას ერთხელ, სულ უნდა ჩაუჯდე და წამოიღებს. ნიგერიასაც ერთხელ უნდა ჩაუჯდე და წამოიღებს. თუ ნიგერია იმ კონკრეტულ გარჩევაში ამერიკაზე გადის და იქ კობი ბრაიანტი ცელქობს. თუ ნიგერია ამერიკაზე გადის და იქ ლებრონ ჯეიმსი ცელქობს. თუ ნიგერიასთან კევინ დიურანი და კარმელო ენტონი ხურდებიან და ბიჭები თამაშის მუღამზე არიან. ამერიკა ნიგერიასთან გაერთო და რაღაც მომენტში, ჩვენც მაგარი გავერთეთ. მხოლოდ რაღაც მომენტში. მერე ნიგერიამ შავი ცრემლებით იქვითინა, ისლუკუნა და ამერიკამ საქმე გააკეთა. კარმელო ენტონიმ ვერ ახსნა, როგორ აუწია ამერიკამ ყური ნიგერიას. არც იყო ასახსნელი. ამერიკა ამოუხსნელი ფენომენია. როგორც მუსიკაში დევიდ გილმორის დამისტერ უოტერსის ფლოიდები. და ამერიკას მოაქვს.

სპილოებზე ნადირობის და გეპარდების აჩეხვის სეზონი გაიხსნა. აუხსნელი, ასახსნელი სეზონი. ამერიკასთან ტკივილგამაყუჩებელიც არ მოსულა, უაზრობაა. ამერიკა სკალპელს სტერილიზაციას არ უკეთებდა და ამერიკამ ნიგერიას ყველა ადგილიდან ატკინა. ნიგერიამ თამაში ტვინის შერყევით დახურა. ხდება ხოლმე. ენტონიმ კლაივ ბარკერის რუბიკ-კუბიკი ააწყო და ტკივილს ჭიშკარი შეუღო.

ამერიკა სხვა თემაა.